



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

„მედიცინა“

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
18.11-2.12.

დასკვნის წარდგენის თარიღი
13.01.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	17
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	20
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	26

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მედიცინა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჯანდაცვა 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №12, 20.03.2017
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“ აკრედიტებულია 2017 წლის 20 მარტს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N12).

პროგრამა არის ნაწილობრივ ინტეგრირებული, მოიცავს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, აგებულია ECTS საკრედიტო სისტემის საფუძველზე და მოცულობა შეესაბამება 360 ECTS. სწავლის ხანგრძლივობაა 12 სემესტრი, სემესტრში განსაზღვრულია 30 კრედიტი, ერთი კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 2 აპრილს N1255 წერილით წარმოდგენილი იქნა "მედიცინის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების (MES 22 0001479236, 18/11/2022) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა (თავ-რე: ირინე ფხაკაძე, წევრი დავით ჯიქია) განახორციელა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“, „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან (1, 2, 4) მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. შეფასების შედეგებისა და დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე (სადაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა შეფასებები) მომზადდა დასკვნის დოკუმენტი.

▪ პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.3.

- სასურველია ცალკეულ სილაბუსებში მომავალ დროში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ახლანდელ დროში აქტიური ზმნებით.
- სასურველია სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ კომპეტენციის შინაარსობრივად დაზუსტება, რათა მოხდეს უკანასკნელის გამოჯვანა „უნარებისგან“.

2.5.

- სწავლა-სწავლების მეთოდებიდან სასურველია კურაციის და მსგავსი სწავლების ფორმების, აქტივობების გამოიყენოს.

4.1

- სასურველია, მოხდეს პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ყველა პირის ბიოგრაფიული მონაცემების უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში მოქცევა და ამავდროულად განახლება, განსაკუთრებით სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ბოლო 2 წლის გადამზადების შესახებ ინფორმაციის დასადასტურებლად.

4.2.

- სასურველია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში AMEE-ESME-ს სასწავლო კურსებში მონაწილეობისათვის აკადემიური პერსონალის დაფინანსების გათვალისწინება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზნების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არაა მოწოდებული. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული უზრუნველყოს აუცილებელი კომპეტენციებით, რომლებსაც ექნებათ:

- ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების, მისი მეცნიერული მეთოდისა და პრინციპების ცოდნა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის აუცილებლობა;
- კლინიკური, ინტერპერსონალური და პრაქტიკული უნარები;
- კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კლინიკური შემთხვევების სოციალურ, კულტურულ ასპექტში გაცნობიერების უნარი;
- ექიმის პროფესიული, ეთიკური და იურიდიული პასუხისმგებლობების განხილვის უნარი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგები შეიცვალა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მიზნით, აღნიშნული მიღწეულ იქნა პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდის და სავალდებულო სასწავლო კურსების დამატების შედეგად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ (10.04.2019) "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" დანართი #1-ის შესაბამისად ბრძანების შესაბამისად პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი სწავლის შედეგები სამი კომპეტენციის სახით (1. ცოდნა და გაცნობიერება, 2. უნარი, 3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ამასთანავე, ზოგადი კომპეტენციების გარდა პროგრამასა და სილაბუსებში მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად აღწერილია დარგობრივი კომპეტენციები.

დაწესებულების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია, შესაბამისად, ქართულენოვანი კომპონენტები არ შეფასებულა. დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს, "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა, სილაბუსები
- თვითშეფასება

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა იყენებს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს.

არაპირდაპირი მეთოდისთვის გამოიყენება დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დამსაქმებლები) ინტერვიუები. მათი ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის არაპირდაპირი შეფასება.

პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის საბჭოს წევრებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად. გადაწყვეტილება და შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებულია შედეგებზე.

კურსის ფარგლებში ტარდება: თვისებრივი კვლევა, ინტერვიუები სასწავლო კურსის ლექტორებთან, სილაბუსის სიღრმისეული შესწავლა.

შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიღებული იყოს შემდეგი ზომები:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების ცვლილება
- სასწავლო კურსისათვის მინიჭებული დატვირთვის ცვლილება
- სასწავლო კურსის შეფასების მეთოდისა და ფორმის ცვლილება
- სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურის ცვლილება
- სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება (ახალის სემოლება ან ცვლილების შეტანა) და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, პროგრამის მოცულობა შეადგენს 360 კრედიტს და ხანგრძლივობა შეადგენს 12 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

თითოეულ სემესტრში სტუდენტი დააგროვებს 30 კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს. სტუდენტს უფლება აქვს 6 წლის განმავლობაში აიღოს დამატებითი მხოლოდ 15 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებს 335 ECTS; ძირითადი სფეროს არჩევით კურსებს 25 ECTS მოცულობით, სამეცნიერო კვლევითი უნარების გამომუშავებას ეთმობა ჯამში 21 ECTS და მათ შორის 5 ECTS განსაზღვრულია კვლევითი ნამუშევრის შესრულებაზე. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურადაა ურთიერთდაკავშირებული, ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები, თუმცა არაა მოცემული კონკრეტული ინფორმაცია აღნიშნული კურსების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, შემადგენელი კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და სტატუსი, ECTS კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, წინაპირობა, სასწავლო კურსის ფორმატი, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები, კურსის განმახორციელებელი.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის დასადგენად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მიხედვით სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები ძირითადად,

შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასახულია სამი კომპეტენციის მიხედვით: „ცოდნა-გაცნობიერება“ „უნარები“ „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“, თუმცა, ცალკეულ სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მომავალ დროში, ასე მაგალითად: Body strusture; Introduction to Psychology; Body Function; Health and Society, Internal Medicine IV, Infectious Diseases, Obstetrics & Gynecology, Family Medicine, Personalized Medicine, Surgery კურსების სილაბუსებში ზოგადი კომპეტენციები იკითხება „A student will be able to; A student will“; იქვე გასამიჯნია სწავლის შედეგებში კომპეტენცია ცოდნა და გაცნობიერება ფორმულირებულია როგორც უნარები: Deep and Systemic knowledge of the field area and its critical analysis that covers some modern achievements of the sphere, provides basis for the development of new ideas - სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნასთან ერთად კრიტიკული ანალიზის და განსჯა, უპირანი იქნება გადატანილ იქნას უნარებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ცალკეულ სილაბუსებში მომავალ დროში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ახლანდელ დროში აქტიური ზმნებით.
- სასურველია სწავლის შედეგებში „ცოდნა და გაცნობიერების“ კომპეტენციის შინაარსობრივად დაზუსტება, რათა მოხდეს უკანასკნელის გამიჯვნა „უნარებისგან“

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სეუ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის; საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე [MD Programme in English.pdf \(seu.edu.ge\)](http://MD_Programme_in_English.pdf(seu.edu.ge)) www.seu.edu.ge;

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის პროცესში პროგრამის დაშვების წინაპირობების ცვლილება არ განხორციელებულა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ასახულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების [MD Programme in English.pdf \(seu.edu.ge\)](http://MD_Programme_in_English.pdf(seu.edu.ge)) შესახებ:

- 1) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვა უნივერსიტეტში სწავლის უფლება.
- 2) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება.
- 3) საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.
- 4) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- 5) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- 6) მობილობის სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხნენ უნივერსიტეტში N10/5 (04.02.2010) მინისტრის ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის თანახმად.

უნივერსიტეტი ატარებს ინტერვიუს იმ აბიტურიენტებთან, რომლებსაც უფლება აქვთ ჩაირიცხოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. მათ უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.seu.edu.ge

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კლინიკური უნარების გამომუშავების შესაძლებლობა გრძივი მოდულის „კლინიკური და პროფესიული უნარები 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12“ ფარგლებში, ჯამში 32 კრედიტის მოცულობით.

საგანმანათლებლო პროგრამაში 21 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული კომპონენტები: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, სამეცნიერო კვლევის უნარები, სამეცნიერო ნაშრომის დაწერა ხელს უწყობენ კვლევის უნარების განვითარებას.

კვლევის ბლოკის კურსები ისწავლება 6 წლის განმავლობაში და მოიცავს შემდეგ თემატიკას: არგუმენტირებულ წერას, სამედიცინო მონაცემთა ბაზებს და მასში მუშაობას, კვლევის უნარ-ჩვევებს, ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას. შედეგად სტუდენტები შეიძენენ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, მონაცემების დამუშავების, ანალიზისა და სინთეზის, კვლევითი ნამუშევრის ორგანიზაციისა და შემუშავებული კვლევითი ნაშრომის შედეგების პრეზენტაციის უნარებს.

XI სემესტრში გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობა. პროგრამით განსაზღვრული აღნიშნული კურსები ორიენტირებულია შედეგზე და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებში კვლევითი შემოქმედებითი პრაქტიკული, და ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული მიმართულებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის პროცესში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატები, ბრეინსტორმინგი, პრეზენტაცია, პრაქტიკული სწავლება, კლინიკური მუშაობა, გუნდური მუშაობა, როლური თამაში. კლინიკური სწავლება (საწოლთან სწავლებას), შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება CBL, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება PBL, როლური თამაშები, CBCR კლინიკური აზროვნება.

პროგრამის სასწავლო კურსებში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტიდ შესაბამისად გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სწავლების საფეხურსა და

კურსის შინაარსთან, განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის პროცესში სწავლება-სწავლის მეთოდების ცვლილებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლა-სწავლების მეთოდებიდან სასურველია კურაციის და მსგავსი სწავლების ფორმების, აქტივობების გამოიყენება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

